მეოთხე წაგება

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 17 აგვისტო.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) _ “დინამო” (თბილისი) _ 2:1 (0:0).

“ფახთაქორი”: ლიუბარცევი, დოცენკო, ინოიატოვი, ტურგუნოვი, პეტუხოვი, ციპინი, პატრიკეევი, ისაკოვი, აბდურაიმოვი, სოლოხო, როდიონოვი.

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, მაჩაიძე.

მსაჯი: თ. ველიევი (ბაქო).

დუბლიორები _ 2:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

ამ მატჩამდე თბილისის “დინამოს” საუკეთესო პოტენციური შესაძლებლობანი ჰქონდა (ყველაზე ნაკლები დაკარგული ქულა), “ფახთაქორი” კი ცხრილის ქვემო ნახევარშია და მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რომ თავი დააღწიოს აუტსაიდერთა რიგებს. ესე იგი ერთმანეთს ხვდებოდნენ ერთის მხრივ, ჩემპიონობის პრეტენდენტი, ხოლო მეორეს მხრივ _ უმაღლესი ლიგიდან განდევნის კანდიდატი და აი, ძალთა ასეთი შეფარდება გადაწყდა აუტსაიდერის სასარგებლოდ და თბილისელებმა რიგით მეოთხე ნული ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

აღსანიშნავია, რომ თბილისის “დინამოს” ყველა ეს წაგება იმ გუნდებთან აქვს განცდილი, რომლებიც მისი უშუალო მეტოქეები არ არიან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში.

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. განახლდა თუ არა თამაში, ტაშკენტელთა მარცხენა გარემარბმა როდიონოვმა ანგარიში გახსნა. საპასუხო გოლის გატანა სულ მალე შეძლო ნოდიამ და უკვე მაშინ, როცა “ჩაერთო” მატჩის ბოლო წუთი, ტაშკენტელებმა თავიანთი ერთ-ერთი იერიში დაამთავრეს იმავე როდიონოვის მიერ გატანილი მეორე გოლით.

ა. ახმადულოვი (ტელეფონით).
“ლელო”, 19 აგვისტო, 1970 წ.